საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 09 სექტემბერი 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/ 52

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2013 - 2014 სასწავლო წლისთვის საბაკალავრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესში ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2013 - 2014 სასწავლო წლისთვის საბაკალავრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის № 04-01/ 14 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე - 24 ადგილი, მათ შორის:

- არქიტექტურისა და ტანსაცმლის დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამებზე -10 ადგილი, მათ შორის, პროგრამული დაფინანსებით - 4 ადგილი;
- კინორეჟისურის საგანამანათლებლო პროგრამაზე - 5 ადგილი, მათ შორის, პროგრამული დაფინანსებით - 3 ადგილი;
- დრამისა და კინოს სამსახიობოს საგანამანათლებლო პროგრამაზე - 9 ადგილი, მათ შორის, პროგრამული დაფინანსებით - 4 ადგილი;

ბ) მუსიკის ფაკულტეტზე - აკადემიური სიმღერა; ფორტეპიანო, აკადემიური დირიჟორობა; საორკესტრო (სიმენიანი, სასულე); კომპოზიცია - 10 ადგილი. საორკესტრო (სიმებიანი, სასულე) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ ყველა სტუდენტს გამოეყოფა ხელოვნების უნივერსიტეტის გრანტი.

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ შესაბამისმა ფაკულტეტებმა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია